შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ეკონომიკის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Economics

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური

სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ეკონომიკის მაგისტრი, 0311
ინგლისურად:	Master of Economics, 0311

პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2016 წლის ბრ. # 01/01-14, 26.02.2016 ბრძანებით, ცვლილებები დამტკიცებულია N01/01-62, 07.10.2021, N01/01-77 30.11.2021 ბრძანებებით
პროგრამის ხელმძღვანელები	კავკასიის აფილირებული პროფესორი- ვანო ბენიძე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით.

შესაბამისად, პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო დასაშვები ვადაა 4 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტატუსი და სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს.

პროგრამის ყველა საგანი დაკავშირებულია ძირითად სფეროსთან. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან სავალდებულო კომპონენტი შედგება 90 ECTS კრედიტისგან, მათ შორის:
სავალდებულო სასწავლო საგნები - 42 ECTS კრედიტი;
პრაქტიკის კომპონენტი - 6 ECTS კრედიტი;
სამეცნიერო და კვლევითი კომპონენტი - 42 ECTS კრედიტი (აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი 6 ECTS, კვლევის მეთოდები ეკონომიკაში 6 ECTS და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა 30 ECTS).

არჩევითის სასწავლო კომპონენტი შედგება **30 ECTS** კრედიტისგან, რომელსაც სტუდენტი ირჩევს შეთავაზებული 90 ECTS მოცულობის საგნებიდან, კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაანგარიშება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS-ის მიხედვით ხდება. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს (ლიტერატურის მიმოხილვა, შუალდერური და დასკვნითი გამოცდებისთვის მზადება და ა.შ.)
სასწავლო წლის განმავლობაში დასაშვებია 60-ზე უფრო მეტი ან ნაკლები კრედიტების დაგროვება, მაგრამ არაუმეტეს 75–ისა წელიწადში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული B2 დონის შესაბამისი ინგლისურის გამოცდის ჩაბარება.

(ინდივიდი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება)).

კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ეკონომიკის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების ღრმა ცოდნა; ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ბულგარეთის, ბელგიისა და მაგდებურგის უნივერსიტეტებისა და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად. პროგრამა ფოკუსირებულია და ითვალისწინებს კვალიფიციური კურსდამთავრებულის მომზადებას ეკონომიკის მიმართულებით.

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური თეორიული ეკონომიკური ცოდნა;
- შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე;
- კურსდამთავრებულმა შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, პრაქტიკული პროექტების განხორციელება;
- სტუდენტს ჰქონდეს უნარი გაანალიზოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
- თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე, სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, შეძლოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული

პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარების გეგმას.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა

1. აღწერს სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებს.
2. განიხილავს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე.
3. მიმოიხილავს მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპებს.

უნარი

4. გამოკვეთს და აყალიბებს ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.
5. ატარებს პრობლემების მრავალფაქტორიან სიღრმისეულ ანალიზს და წარადგენს შედეგებს.
6. პრაქტიკაში იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. ხელმძღვანელობს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნული ღირებულებებით, ეკონომიკის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა მას ხდის უფრო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

დასაქმების სფეროები

პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ შემდეგ სექტორებში:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

სახელმწიფო სექტორი:

- საქართველოს მთავრობა
- ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისიტიკის ეროვნული ბიურო;
- ეროვნული ბანკი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- და სხვ.

კერძო სექტორი:

- საბანკო
- სადაზღვევო
- აუდიტორული ფირმები

- სადისტრიბუციო
- საცალო ვაჭრობის კომპანიები
- სარეკლამო კომპანიები
- კვლევითი კომპანიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- და სხვ.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ სადოქტორო საფეხურზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების

სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპრსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი , შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი (brainstorming), სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის პერიოდში პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს კერძოდ, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, შემთხვევების შესწავლა, პროექტებზე მუშაობა და პრეზენტაციები

შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	

პროგრამა უზრუნველყოფილია 5 (5 აფილირებული) პროფესორით, 4 (2 აფილირებული) ასოცირებული პროფესორით, 3 (2 აფილირებული) ასისტენტ-პროფესორით და 4 მოწვეული ლექტორით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელეტრონული ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 21524 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect

- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals"

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა საკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია,

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Aruba/HP"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.
აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის უნივერსიტეტი არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე კვლევით უნივერსიტეტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ- მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-

მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითარებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები: კავკასიის უნივერსიტეტის ერთერთი ყველაზე ხელშესახები მიღწევაა, ფართო მაშტაბური ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე. ამჟამად, კავკასიის უნივერსიტეტი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკა; ფორცაიმის უნივერსიტეტი - გერმანია; პარიზის ბიზნესის სკოლა - საფრანგეთი; კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა - საფრანგეთი; დანკერკის უმაღლესი ბიზნესის ინსტიტუტი - საფრანგეთი; ვილნიუსის უნივერსიტეტი - ლიტვა; ესტონეთის ბიზნესის სკოლა - ესტონეთი; ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ესტონეთი; კიპროსის უნივერსიტეტი - კიპროსი; სტეიერის ზემო ავსტრიის უნივერსიტეტი - ავსტრია; რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - ლატვია; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი - ლატვია; აჯოუს უნივერსიტეტი - სამხრეთ კორეა; სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - თურქეთი; ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია.

კავკასიის უნივერსიტეტი არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია (CEEMAN); საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელი (NIBES); უნივერსიტეტის პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაცია (IUAP); ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის წევრი (Harvard Business School's Instute of Strategy and Competitiveness Network)

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
დარგობრივი სავალდებულო საგნები 42 კრედიტი							
1.	DE 5180	განვითარების ეკონომია		6			
2	ECON 5181	უმაღლესი მიკროეკონომია		6			
3.	ECON 5183	უმაღლესი მაკროეკონომია			6		
4.	ECON 5186	საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა)				6	
5.	ECON 5182	სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა		6			
6.	ECON 5187	ეკონომეტრიკა				6	
7.	ECON 5191	მაკროეკონომიკური პორგნოზირება				6	
არჩევითი საგნები-30 კრედიტი (90 კრედიტიდან)							
8.	ECON 5192	კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა		6			
9	HCM 5182	საქმიანი/ბიზნეს კომუნიკაცია		6			
10.	HA 5282	ჯანდაცვის ეკონომიკა		6			
11.	ECON 5193	მენეჯერული ეკონომიკა			6		
12.	ECON 5189	აგრარული ეკონომიკა			6		
13.	CU 5188	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა		6			
14.	ECON 5185	გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა			6		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
15.	HCM 5283	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი		6			
16.	ECON 5194	ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია			6		
17.	ECON 5195	სახელმწიფო ეკონომიკა (ფისკალური თეორია და პოლიტიკა)			6		
18.	GAU 0008	პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოებრივი არჩევანი			6		
19.	ECON 5188	თამაშთა თეორია		6			
20.	ECON 5198	მონეტარული ეკონომიკა (ფულის მიწოდების თეორია და პოლიტიკა)			6		
21.	ECON 50122	ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გამოწვევები			6		
22.	ECON 50121	ეკონომიკა და სამართალი			6		
23.	ECON 5197	კლიმატის ცვლილების ეკონომიკა			6		
პრაქტიკული კომპონენტი 6							
24.	PRAC 6787	სასწავლო პრაქტიკა ეკონომიკაში				6	
სამეცნიერო კვლევის კომპონენტი: 42							
25.	ECON 5184	აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი			6		
26.	RESH 5381	კვლევის მეთოდები ეკონომიკაში				6	
27.	CU 5486	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა					30
			სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**
			წელიწადში	**60**		**60**	
			სულ	**120**			